



**მოხსენება ომბუდსმენის მიერ გაწეულ მომსახურებაზე
კავკასიის უნივერსიტეტში**

2018 წლის აპრილში, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონსულტირების, დახმარების, სტუდენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვის, მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობის მიზნებისათვის, ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობისა და საგრანტო პროექტ AESOP-ის (Advocacy Establishment for Students through Ombudsman Position) ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტში დაარსდა და ოპერირებს ომბუდსმენის ოფისი, სამართლის დოქტორისა და კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის - სალომე კუჭუხიძის ხელმძღვანელობით.

2018 წლის სექტემბრიდან სტუდენტურმა ომბუდსმენმა ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება. ინფორმაცია ამის შესახებ დაიდო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამავდროულად შეიქმნა ომბუდსმენის პირადი ელექტრონული მისამართი, რომლის საშუალებითაც მას შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა მსურველმა. ასევე მომზადდა და უნივერსიტეტში გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები ომბუდსმენის ოფისის შესახებ ორ ენაზე.

ომბუდსმენმა უკვე განიხილა ორი საქმე, რაც არის დასტური იმისა, რომ სტუდენტებმა იციან აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციონირების შესახებ და კონკრეტული პრობლემის შემთხვევაში მიმართავენ მას.

საქმე #1 - პირველ კურსელი სტუდენტისგან (მამრობითი) საქმე ეხებოდა ინგლისური ენის სახელმძღვანელოს და მის გამოყენების წესებს.

კონკრეტულ შემთხვევაში ლექტორმა შენიშვნა მისცა სტუდენტს, რომ მას არ ქონდა სახელმძღვანელოს სრული ქსერვასლის გაკეთების და ლექციაზე გამოყენების უფლება.

საქმის დეტალების გაცნობის შემდეგ მიეცა გაფრთხილება ლექტორს, რომ გამოიყენოს კორექტული ფორმა სტუდენტისთვის შენიშვნის მიცემის დროს. ასევე მიეწოდა ინფორმაცია სტუდენტს, რომ არსებობს საავტორო უფლებები, რომლის დაცვაც აუცილებელია სტუდენტების მხრიდან.

საქმე # 2- მესამე კურსელი სტუდენტისგან (მდედრობითი) საქმე ეხებოდა მობილობასა და კრედიტების აღიარებას.

სტუდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ საგნების კრედიტების არ აღიარებაზე, რომელიც მას აღებული ქონდა სხვა უნივერსიტეტში, თუმცა მობილობის სარგებლობის დრო მას ამის შესახებ მიმღებმა უნივერსიტეტმა აცნობა, შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილება მობილობასთან დაკავშირებით სტუდენტმა მიიღო. სტუდენტს განემარტა, რომ უკვე დაგვიანებული იყო ამ საკითხზე საუბარი, და რომ მისი გადაწყვეტილება მობილობით სარგებლობისას, როდესაც წინასწარ მიაწოდეს ინფორმაცია საგნების აღიარებასთან დაკავშირებით, ნებაყოფლობითი იყო.

ორივე შემთხვევაში, სტუდენტმა ომბუდსმენს მიმართა ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ომბუდსმენის მხრიდან გაცემული იქნა ყველა საჭირო ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ეს ორი საქმე არის კარგი მაგალითი იმისა, რომ სტუდენტებს აქვს ინფორმაცია ომბუდსმენის ფუნქციონირებისა და ფუნქციების შესახებ, შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში დაიწყეს მისი მომსახურებით სარგებლობა.

